



**მინი აბუხი**

სახ ღო ღობით



**მოგესალმებით  
მინი აგურის  
მინი სამყაროში!**

## წარმოგიდგინთ ინსტრუქციას „სახლი ღობით“ მაკეტისათვის

1- ეტაპი. **სამშენებლო მოედნის მოწყობა**- ამოიღეთ სამშენებლო მოედანი ყუთიდან და მოათავსეთ ჰორიზონტალურ ზედაპირზე.

2-ეტაპი. **ცემენტის მასის მომზადება** - თქვენს „სახლი ღობით“ მაკეტს მოყვება 1 მინიტომარა ცემენტი (თაბაშირი) და 1 ტუბი საბავშვო წებო. გახსენით ცემენტის ტომარა, ჩაყარეთ მოსაზღელ ქურჭელში 2 ქაფჩა ცემენტი, დაასხით ცემენტს დაახლოებით იგივე რაოდენობის საბავშვო წებო და მოურიეთ. გაითვალისწინეთ, რომ მოზელილი მასა არ უნდა გაგითხელდეთ და ამავდროულად არ უნდა იყოს ძალიან სქელი, მიღებული მასა უნდა იყოს ბლანტი, ამიტომ წებოს დასხმის დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე. თავიდან წებო უნდა დაასხათ ძალიან ცოტა რაოდენობის და მოზელის (მორევის) პროცესში უნდა ამატოთ, როდესაც მიიღებთ ერთგვარ ბლანტ მასას ე.ი. ცემენტის მასა მზადაა გამოსაყენებლად. გაითვალისწინეთ ცემენტის მასა გაშრება 30-40 წუთის განმავლობაში, შრობა დამოკიდებულია ოთახის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე. ბლოკის (აგურის) დაშენების პროცესი ხორციელდება ჩვეულებრივი სამშენებლო წესების დაცვით, მოზელილი ცემენტის მასა ქაფჩით უნდა დაიტანოთ ბლოკის (აგურის) ნასვრეტებიან მხარეს და მოათავსოთ ზედაპირზე. 2-3 რიგის დაშენების შემდეგ 15-20 წუთი უნდა დაელოდოთ შრობას და ამის შემდეგ გააგრძელოთ შემდეგი რიგების დაშენება. გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული დროები არ არის ცემენტის შრობის სრული დრო, ამიტომ დასრულებულ ნაგებობას გარკვეული პერიოდის (24 საათი) განმავლობაში უნდა მოეპყროთ სიფრთხილით.



**3- ეტაპი. სახლის შენების დროს დაიცავით სურათზე მოცემული ბლოკების განლაგების სქემა**



**მეორე რიგის დაშენების შემდეგ ფანჯარა მოათავსეთ მოცემული სურათის მიხედვით და გააგრძელეთ დარჩენილი ორი რიგის ბლოკების დალაგება**



**ბლოკების დალაგების შემდეგ სახურავი ააწყვეთ და მოათავსეთ შენობაზე, ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით**



4-ეტაპი. სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ღობის მშენებლისა დაიკავით სურათზე მოცემული აგურების განლაგების სქემა და კოლონების ამოყვანის პრინციპი.



ღობის მშენებლობის დასასრულებლად სვეტებზე დაამენეთ სვეტის სახურავი ფილები და ხის მოაჯირები ჩასვით სვეტებს შორის, მოცემული სურათის მიხედვით.



დასრულებულ შენობას უნდა ქონდეს შემდეგი სახე



**გისურვებთ წარმატებას!**